არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"

სენაკი, ა.წერეთლის ქ №1 (0413) 277952
xelovnebiscenrti@gmail.com

№ 55 20 ივლისი 2023 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2023 წლის 14 ივლისის # 40-402319572 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ, ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"ს 2023 წლის 6 თვის გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი 8 ფურცელი

პატივისცემით,

ვეფხვია ვეფხვაძე

ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის

ხელოვნების ცენტრი"ს დირექტორი

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“

2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

1. *ადმინისტრაციული მომსახურეობა/გაწეული საქმიანობები და შედეგები.*
2. *სკოლისგარეშე დაწყებითი სახელოვნებო საგანმანათლებლო მომსახურება: მეთოდური მუშაობა, სამუსიკო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.*
3. *შემოქმედებითობა/პროექტები.*
4. *საფინანსო მაჩვენებელი.*

1. ადმინისტრაციული მომსახურეობა/გაწეული საქმიანობები და შედეგები

საანგარიშო პერიოდში ხელოვნების ცენტრი, კოორდინაციაში იყო მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, დაიგეგმა შესაბამისი საქმიანობები ,,ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების დარგების'' პოპულარიზაციისთვის. ცენტრი კოორდინაციას უწევს ძირთადი სტრუქტურული ერთეულების სახელოვნებო საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას. ცენტრის სტრუქტურები/ პროექტებია: ადმინისტრაცია, სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, პროექტები: ,,ხელოვნების საზაფხულო და საკვირაო სკოლები“. ხელოვნების ცენტრი-ში დასაქმებულია 49 ადამიანი, აქედან 13 სპეციალისტი ემსახურება ადმინისტრაციული ფუნქციის აღსრულებას, ხოლო პედაგოგია-36. საანგარიშო პერიოდში ცენტრმა განახორციელა:

- 2023 სასწავლო წლის 1 ივნისის მდგომარეობით ცენტრის სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებში ირიცხებოდა 381 მოსწავლე. მ/შორის: სამუსიკო სკოლა - 225, სამხატვრო სკოლა - 64, საკვირაო სკოლა-92. მოსწავლები მუნიციპალიტეტის სოფლებიდან **63** (ძვ.სენაკი-4, ჭალადიდი-4, თეკლათი-9, ნოქალაქევი-10, მენჯი-8, ახალსოფელი-10, ნოსირი-9, გეჯეთი-4, ეკი-3, ხორში-2). მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან -10 (ხობი-4, აბაშა-2, ჩხოროწყუ-3,მარტვილი-1);

- 2023 სასწავლო წელი დაასრულა 40 მოსწავლემ: (სამხატვრო სკოლა-12, სამუსიკო სკოლა-28).
- კვირის განმავლობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორშაბათი - შაბათის ჩათვლით. მოქმედებენ კონტინგენტის მისაღები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩამტარებელი კომისიები. ჩატარებულია პედაგოგიური საბჭოს 2 სხდომა.

- მშობლებთან მუდმივად ხორციელდება შეხვედრები და კონსულტაციები ახალი კონტინგენტის მოსაზიდად.

- 2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიწყო და გაგრძელდა, საგუნდო ხელოვნების და სამხატვრო თეატრალური ხასიათის ინიციატივებში, ამ დარგებით დაინტრესებული მოზარდების ჩართულობის მხარდაჭერა. ჩამოყალიბებულია ბავშვთა აკადემიური გუნდი.

- 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნების შესაბამისად, (შეღავათების პროგრამა) გადასახადიდან განთავისუფლებულია – 68 მოსწავლე: (სოციალური დაუცველები-42, ერთი ოჯახიდან და-ძმები 25, გმირი ოჯახის შვილები-1). სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 5 ბენეფიციარი.

- სამხატვრო სკოლა პირველად ჩაერთო კონკურს-ფესტივალში **,,მომავლის ვარსკვლავები“.**

- ანსამბლმა ,,გოგალაიმ“ 5 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.
- გაიზარდა ცენტრის ცნობადობა. გაშუქდა ტელევიზიებით: **რუსთავი-2: 8 მაისი-** სიუჟეტი ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ღვაწმოსილი პედაგოგები.**პოსტ-tv: 26 მაისი** - ცენტრის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდი შ.აბრახამიას ხელმძღვანელობით დილის გადაცემა ,,პოსტალიონში“, ხოლო **7 ივლისს**-სამუსიკო სკოლის ,,გოგონათა კვარტეტი“ დებიუტი პოსტ ალიონში.
- განხორციელებული საქმიანობის შედეგად, **მონაწილეობა მიღებულია ადგილობრივ და რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის 71 ღონისძიებაში.** აქედან: კონკურს-ფესტივალი-12, ჩათვლა/ლექცია/მოსმენა/ვიქტორინა-11, შიდა სასკოლო კონცერტები -45, პლენერი-2, გამოფენა-8, მასტერკლასი-2. კონკურს/ფესტივალებში მონაწილეებს მიენიჭათ წოდებები: ლაურეატი-7, სიგელი-45, საპატიო დიპლომი-30.
- **2022 წლის 15 ივნისს** სასწავლო პროცესი დასრულდა და გამოცხადდა მოსწავლეთა მიღება ახალ 2022-2023 სასწავლო წლისათვის;

2. სკოლისგარეშე დაწყებითი სახელოვნებო საგანმანათლებლო მომსახურება: სამუსიკო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

2.1 მეთოდური მუშაობა

მეთოდური ჯგუფის საქმიანობის მიზანია საუკეთესო პრაქტიკისა და საქმიანობის გაზიარება, სწავლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ზოგადად კადრების შემოქმედებითი მიდგომის განვითარება, პედაგოგიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, ნორმატიული დოკუმენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო ლიტერატურის გაცნობა.

ხელოვნების ცენტრი ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს. ამ პროგრამების უშუალო განმახორციელებლები არიან ძირითადი-სასწავლო სტრუქტურული ერთეულები, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. სკოლებს და სტრუქტურულ ერთეულებს გააჩნიათ მეთოდური მუშაობისა და ღონისძიებების ჩატარების წლიური, სემესტრული და მიმდინარე სამუშაო გეგმები, რომელთა შესრულებას აკონტროლებს ადმინისტარცია. ცენტრში მიღება თავისუფალია 6 წლის ასაკიდან, პროგრამების სტანდარტები ითვალისწინებს მოსწავლის ცოდნასა და შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობას, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

სწავლების პროცესში მოსწავლე ეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას. სწავლების პროცესში მან უნდა გამოიყენოს მასალა და იარაღი, იყოს პროცესის მონაწილი. საგნობრივი პროგრამები გულისხმობს მჭიდრო კავშირს საგნებს შორის. ყოველი საგანი ცოდნას აწვდის მოსწავლეს და უვითარებს უნარ-ჩვევას, როგორც ინდივიდუალრად ასევე კოლექტიურად. საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეზე. მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც საშუალებას: შემოქმედებითობის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, კომუნიკაციის და ინტერპრეტაციის, ხელოვნების აღქმის კონტექსტში. ამ მიმართულებით გამოყენებულია და არჩეულია არა მარტო ერთი კონკრეტული გზა, არამედ მოსწავლის და პედაგოგის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტი.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო (და სხვა საკრავების), მუს.თეორიული და ვოკალური - საგუნდო და საესტრადო მეთოდური ჯგუფები, რომლის შემადგენლობაშიც პროფესიული მუშაობის წარმართვისათვის შედიან მეთოდისტები. სასწავლო წლის სემესტრების დასაწყისში მეთოდისტები ამოწმებენ, მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, მოსწავლის პირად საქმეში ფიქსირდება აკადემიური ჩათვლა-კონცერტები, საგამოცდო პროგრამა, სასწავლო წლის ბოლოს იწერება მოსწავლის დახასიათება. მეთოდისტები პედსაბჭოს წარუდგენენ მეთოდური მუშაობის და ღონისძიებების გეგმებს.
სამხატვრო სკოლაში სემესტრიდან-სემესტრამდე მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, პედაგოგების მეთვალყურობის ქვეშ და სემეტრის ბოლოს ეწყობა ნამუშევრების გამოფენა, ისინი ამზადებენ ნიმუშებს და ახდენენ მის პრეზენტაციას. მოსწავლის მიღწევები ფიქსირდება შესაბამის ცხრილებში.

2.2. სამუსიკო განათლება

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, ჩელო, საქსოფონი, ფლეიტა, ალტი) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ჯგუფები.

✓ **მასტერკლასი**

- **23 მაისი** - სენაკის X მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ბულიამ, მასტერკლასი ჩაატარა.
- **24 მაისი** - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ბათუმის კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, ირინა ხერჟიმ მასტერკლასი ჩაატარა.

✓ **სასწავლო გეგმით/პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები**

- **25 თებერვალი** - სკოლაში გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების მოსმენა და ჩატარდა.
- **1 მარტიდან** - სკოლაში ჩატარდა, სასწავლო წლის II სემესტრის ჩათვლა.
- **7 მარტი** - ვიქტორინა -კონკურსი ჩატარდა სკოლის პირველი და მეორე კლასელთათვის ,სადაც მოსწავლეებმა უპასუხეს მასწავლებლის მიერ დასმულ საინტერესო შეკითხვებს და შეავსეს კროსვორდები. შეფასდა მოსწავლეთა მომზადების დონე და პედაგოგის მიერ გაწეული მუშაობა. ვიქტორინა -კონკურსი ჩატარდა სამუსიკო სკოლის პირველი და მე-II კლასელთათვის.
- **26 მარტი** - სკოლის მცირე დარბაზში გაიმართა საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო)პედაგოგის, შორენა ზვიადაძის **მეთოდური ღია გაკვეთილი - „ვიოლინოზე დაკვრის სირთულეები, შესრულების ტექნიკა, ბგერის დინამიკა და სხვადასხვა სირთულეები".**
- **12 აპრილი** - მე-III და მე-IV კლასელთა ტრადიციული ვიქტორინა ჩატარდა.
- **23 აპრილი** - საორკესტრო განყოფილების, სასულე- ჩასაბერი ინსტრუმენტების, ფლეიტა და საქსაფონის პედაგოგმა, თენგიზ გვენეტაძემ **ღია გაკვეთილი ჩაატარა თემაზე: „ფლეიტის ისტორია და სწავლების სირთულეები საწყის ეტაპზე".**
- **29 აპრილი** - სკოლაში,სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული , გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების III მოსმენა ჩატარდა.
- **12 ივნისის** - სკოლაში, მუსიკის თეორიულ დისციპლინებში, V-VI კლასელთათვის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ვიქტორინა ჩატარდა.
- **14 და 15 ივნისს,** სკოლაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული I კლასის მოსწავლეებისთვის კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, საკრავებში,საესტრადო და ხალხურ სიმღერებში ჩატარდა.
- **29ივნისი** - სამუსიკო სკოლის V, VII, IX კლასების მოსწავლეთათვის ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები მუსიკალურ თეორიულ დისციპლინებში: სოლფეჯიოსა და მუსიკის ლიტერატურაში.

✓ **სამუსიკო სკოლაში განხორციელებული საქმიანობები**

- **11 მარტი** - პროექტის ფარგლებში, წლების შემდეგ, პირველად, სრულად განახლდა ხელოვნების ცენტრის სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა; რეაბილიტირდა სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო დერეფანი, ასევე განახლდა მცირე საკონცერტო დარბაზი.ხელოვნების ცენტრს დაარსებიდან 5 წელი შეუსრულდა და ახლადრეაბილიტირებულ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საღამო, რომელშიც მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო და სამხატვრო სკოლების პედაგოგებმა და ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „გოგალაიმ" მიიღეს.
- **19 მარტი** - ქალაქ ქუთაისში, ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის **XV რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „იპოვე ვარსკვლავი შენი",** სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების ვიოლინოს ჯგუფის მე-II კლასის მოსწავლემ, **28 მაისს,**კონკურსანტს მეორე ადგილი და ლაურეატის წოდება მიენიჭა.
- **25 მარტი** - ქ.ქუთაისში,ზაქარია ფალიაშვილის მე-2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა კლასიკური მუსიკის **მე-16 ეროვნული კონკურს-ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები"** შესარჩევი ტური. მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის, ვიოლინოს კლასის მეორე კლასის მოსწავლემ,საესტრადო

განყოფილების მე-IV კლასის მოსწავლემ და გიტარისტთა კვარტეტის მოსწავლეებმა.ფინალში გადავიდა გიტარისტთა კვარტეტი, პედაგოგ გოჩა ჯგერენაის ხელმძღვანელობით. 22 აპრილს, გალა-კონცერტზე ლაურეატის წოდება მიენიჭათ.

- **2 აპრილი** - საქართველოს ხელოვნების აკადემიის და მუსიკის აკადემიის ორგანიზებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე.შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში წელს **პირველად „ქართული მუსიკის VII ეროვნული კონკურსი“,** საზეიმოდ გაიხსნაში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა, რუსუდან მილიუტინმა, შეასრულა კომპოზიცია ცეკვა ქართული, ზ.ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი". **4 აპრილი** - ქართული მუსიკის VII ეროვნული კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების და საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო) მოსწვლეებმა, გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა. 5 აპრლის, დაჯილდოების ცერემონიალზე მონაწილეებს დიპლომანტის და III პრემიის დიპლომები გადაეცათ.
- **9 აპრილი** - 9 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო - **„გვიმღერია, ისევ ვიმღერთ, ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა"** ჩატარდა. მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.
- **27 აპრილი-** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერითა და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ორგანიზებით, სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის ზონალური ეტაპი გაიმართა.კონკურსში მონაწილეობა სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა, ხალხური საკრავების განყოფილების ანსამბლმა „მორდუმ“.მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები.
- **6 მაისი - ა(ა)იპ „დემოსის" ორგანიზებით,** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, მეორედ ჩატარდა სამუსიკო სკოლის ს.ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული სიმღერების რიგით VII კონკურს-ფესტივალის - „სხვა საქართველო სად არის" ფარგლებში, ქართული მუსიკის მოსმენა, დათვალიერება, წინამოსამზადებელი ეტაპი, შერჩევა და მასტერკლასი. მოსმენა-დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: საესტრადო განყოფილება,გოგონათა ვოკალური ანსამბლი, ტრიო, დუეტი, ფოლკლორული ანსამბლი „მორდუ" და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდი.
- **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების 78 წელთან და ევროპის დღესთან დაკავშირებით კლასიკური მუსიკის კონცერტი და თემატური ნახატების გამოფენა მოეწყო.
- **12 მაისი** - საქართველოში განსაკუთრებული ორი დღე აღინიშნება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საქართველოს წილხვდომილობის,ანუ იმედის დღე და წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემობრძანება საქართველოში. ამ დღეს,სამუსიკო სკოლის პედაგოგმა,მანანა ზარქუამ საკლასო კონცერტი და მოღვაწეობის 50 წლიანი შემოქმედებითი საღამო მიუძღვნა.საკონცერტო ნაწილში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგ,მანანა ზარქუას კლასის მოსწავლეებმა და სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „გოგალაი".
- **15 მაისი - დასავლეთ საქართველოს რეგიონალურმა მე-X ფესტივალმა** სტარტი აიღო და ის 25 მაისს გრანდიოზული ფინალით დაიხურა.ხელოვნების აკადემიის საპატიო სიგელებით ნიჭიერი,ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და ქალაქის მუსიკალურ-საგანმანათლებლო სივრცეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები.
- **16 მაისი - „სენაკი არტ ფესტივალი-2023**"-ის ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მოსმენა-დათვალიერება ჩატარდა. მასში მონაწილეობა 200-ზე მეტმა (საფორტეპიანო, საესტრადო, ფოლკლორული, საორკესტრო, გიტარის, ვოკალური ანსამბლები) მოსწავლემ და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა მიიღო. ჟიურის გადაწყვეტილებით, ლაურეატის წოდება და გალაკონცერტზე მონაწილეობა მოიპოვეს: გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა, გიტარისტთა დუეტმა და გიტარისტთა ტრიომ და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა. 25 მაისს, გალა კონცერტზე მონაწილე მოსწავლეები, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისთვის, სიგელებით და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ,ხოლო ტიტული **„ფესტივალის აღმოჩენა“** წილად ხვდა გიტარისტთა დუეტს.
- **26 მაისი** - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი და ნახატების გამოფენა გაიმართა.მონაწილეობა სამუსიკო სკოლის საესტრადო, ვოკალური, ვიოლინოს, გიტარის განყოფილებების მოსწავლეებმა,

ფოლკლორულმა ჯგუფმა **„მორდუმ"** და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა **„გოგალაიმ"** მიიღეს.

- **30 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით** - სამუსიკო სკოლაში, პედაგოგების 15 საკლასო და მოსწავლეთა სოლო კონცერტები ჩატარდა.
- **1 ივნისი** - ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის შეღავათის პროგრამის მქონე და პროექტის **- „საკვირაო სკოლის"** მოსწავლეებმა.
- **10 ივნისი - „დემოსის" ინიციატივით,** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული სიმღერების VII კონკურს-ფესტივალის - **„სხვა საქართველო სად არის",** პირველი რეგიონული ტური ჩატარდა.
- **22 ივნისს,** ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების რიგით VII კონკურს-ფესტივალის - „სხვა საქართველო სად არის" დასკვნითი ტური გაიმართა. **29 ივნისს,** ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების VII კონკურს-ფესტივალის - **„სხვა საქართველო სად არის"** გალა კონცერტი ჩატარდა. საესტრადო განყოფილების მოსაწვლემ, ნომინაციაში - **„სოლოს სიმღერა"** - III ასაკობრივ კატეგორიაში, პირველი ადგილი მოიპოვა და სიმბოლური საჩუქრები მიიღო. გოგონათა ვოკალურ ანსამბლს, საესტრადო განყოფილების მოსწავლეს და ხელოვნების ცენტრის გაერთიანებულ გუნდს, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისთვის, დიპლომები გადაეცათ.

2.3. სამხატვრო სკოლა

- მოსწავლეები მიეკუთვნებიან 9 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფს. სწავლის უფლებით სარგებლობენ მოზარდები 6 წლის ასაკიდან. სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.
- სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები,გაკვეთილ-პლენერები, ისწავლება: ხატვა, ფერწერა,ხელოვნების ისტორია,გრაფიკა,ძერწვა,კომპოზიცია. სასწავლო პროცესში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. პროგრამებში ჩარიცხული სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები ღებულობენ შეღავათებს.
- სკოლაში ფუნქციონირებს კონტინგენტის მისაღები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების/ჩათვლები ჩამტარებელი კომისიები.
- **24-26 ივნისი,** სამხატვრო სკოლაში, გამოსაშვები/მეოთხე კლასის მოსწავლეთა გამოცდები დასრულდა.

✓ სამხატვრო სკოლაში განხორციელებული საქმიანობები

- **27 იანვარი** - მხატვართა შემოქმედებაში დამკვიდრდა ღია ცის ქვეშ,ანუ პლენერზე ხატვა. სამხატვრო და საკვირაოს სკოლის მოსწავლეებს გასვლითი ღია გაკვეთილი, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ქალაქის სკვერში,ღია ცის ქვეშ ჩაუტარდათ.
- **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების 78 წელთან და ევროპის დღესთან დაკავშირებით თემატური ნახატების გამოფენა მოეწყო.
- **26 მაისი** - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა მოეწყო.
- **1 ივნისი** - ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამხატვრო სკოლაში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა; ქალაქის ცენტრალურ პარკში - პლენერი, სახეზე ხატვა, ასფალტზე ხატვა.
- **18 ივნისი**-საქართველოს ხელოვანთა. კავშირი-„ხელოვანები მომავლისთვის", „მომავლის ვარსკვლავები", ქვეყნის მასშტაბით, უკვე 16 წელია ატარებს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების ფესტივალ-კონკურსს. სახვითი ხელოვნების, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, წელს, პირველად, შესარჩევ ტურში, მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ და მას პრიზიორის ლაურეატის წოდება მიენიჭა და დიპლომი გადაეცა.

3. შემოქმედებითობა/პროექტები

ცენტრი დაგეგმილი შედეგების მისაღწევად იყენებს ,,პროექტებით სწავლების" მოდელს. ეს ხორციელდება ერთობლივი მუშაობით, მშობელი, პედაგოგი და მოსწავლე, სადაც, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პედაგოგს და მოსწავლეს. ამ პროცესში ხორციელდება მოსწავლეთა ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. პროექტზე მუშაობა ითვალისწინებს გარკვეულ ეტაპებს/ციკლს:

✓ პროექტის ინიცირება (ინიციატივა, იდეების არჩევა); დისკუსია (პროექტის მონახაზი); დადგეგმვა (პროექტის გეგმის შედგენა,ბიუჯეტის განსაზღვრა); განხორციელება (პასუხისმგებლობები, შედეგები, შეფასება/მონიტორინგი); დასრულება (შედეგების პრეზენტაცია); შეფასება (დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა);

პროექტები მიზნად ისახავს სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების დარგების პოპულარიზაციას, ნიჭიერი თაობის გამოვლენასა და მხარდაჭერას. განხორციელდა 3 შემოქმედებითი პროექტი:

✓ **პროექტი: ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა"**

პროექტში ჩართულია 84 მოსწავლე: სამუსიკო მიმართულება - 33, სივრცითი და გამოყენებითი ხელოვნება -51. (ისწავლება ხაზვა, ხატვა, მუსიკალური ინსტრუმენტზე შესრულება, სიმღერა).

- **5 თებერვალი**-ხელოვნების საკვირაო სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი მიმართულებები, სადაც ჩართულია სხვადასხვა ასაკის ბავშვები სხვადასხვა მიმართულებაზე. გეგმის მიხდვით ჩატარდა ,,ხელოვნების საკვირაო სკოლის" ფარგლებში, სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით შუალედური ტესტირება .
- **22 აპრილი** - დედამიწის დღე აღინიშნა.სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის პროექტის ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" ფარგლებში, სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი - დეკორატიული ხელოვნების ჯგუფის ბავშვები გამოეხმაურნენ ამ დღეს და ნამუშევრები შექმნეს.
- **2 ივნისი** - პროექტის **- ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა"** ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, შეხვედრა ,,მომავლის არქიტექტორები 2023" გაიმართა.
- **10 ივნისი-** ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის და პროექტის ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" სახვითი(სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების მოსწავლეებისთვის პროექტ - გაკვეთილი: ,,არტ-ნუვო" ჩატარდა.

✓ **პროექტი: საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია და მხატრულ-მუსიკალური უნარების გაძლიერება:**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის - **,,ორნი აქა იქ"** პრემიერა გაიმართა, რომელიც შედგა **28 მაისს** დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე.

✓ **პროექტი: ,,შემეცნებითი ტურები"**

პროექტის მიზანია ხელოვნების სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანების ცხოვრების და მოღვაწეობის გაცნობა, ხელოვნების დარგების და ისტორიის პოპულარიზაცია და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება.პროექტის ფარგლებში განხორციელდა:

- **22 ივნისი** -ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისთვის, საგანმანათლებო - შემეცნებითი ტური ჩატარდა. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ეწვივნენ ქ.ქუთაისში, ქართველი კომპოზიტორის, დირიჟორის, პედაგოგის, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელის, კლასიკოს ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს, სადაც შეასრულეს მუსიკაალური ნომრები(კლასიკური და ფოლკლორი).
- **2 ივლისი**-ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისთვის, საგანმანათლებო-შემეცნებითი ტური ჩატარდა, სადაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს ესტუმრნენ და გაეცნენ ანტიკური ხანის ქართული ხელოვნების ნიმუშებს.

4. საფინანსო მაჩვენებლები:

ხელოვნების ცენტრი აწარმოებს საფინანსო–ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების საინფორმაციო სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად და ზემდგომი სამსახურების კონსულტაციების გზით. სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე დაყრდნობით, ცენტრს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, ბიუჯეტიდან გამოეყოფა სუბსიდიური დაფინანსება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან ერთად დანერგილია მშობელთა მხრიოდან თანაგადახდის სისტემა. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ხარჯები;
ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
გ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
ე) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2023 წლის 6 თვის (გეგმა):

6 თვის გეგმა (ლარებში)	სუბსიდიური დაფინანსება (ლარებში)	საკუთარი შემოსავალი (ლარებში)
250 000	220 000	30 00

- 2023 წლის 1იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 39 ლარს. 2023 წლის 1ივლისის მდგომარეობით ცენტრს სულ მიღებული აქვს 248 706 ლარი. მ.შორის სუბსიდია 219 567 ლარი, საკუთარი შემოსავალი 29139 ლარი. საკუთარის შემოსავლის გეგმის შესრულება შეადგენა 97%. მიღებული შემოსავლიდან ფაქტიურად გახარჯულია 244 575 ლარი. მ/შორის-შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 217 502 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 23 903 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა-770 ლარი. 01.07.2023 წლისათვის ნაშთმა შეადგენდა 4170 ლარს.

საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯები - 23 903 ლარი, კერძოდ:

- კავშირგაბმულობა-1850ლარი, ელ.ენერგია-4500ლარი, მივლინება-566ლარი, ბუნებრივი აირი-501ლარი, კარტრიჯების შეძენა დატუმბვა-112ლარი, წყლის ხარჯი-564ლარი, კომპიუტერის აქსესუარების შეძენა-30ლარი, ჟურნალ გაზეთების შეძენა-24ლარი, საარქივო მომსახურება-84ლარი, საჭირო მასალების და მატ. მარაგების შეძენა–3163ლარი, საკანცელარიო-1775ლარი, ბეჭდვა-750ლარი, ტრანსპორტით მომსახურება 970 ლარი,112-ის მომსახურება-12ლარი, საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-3500ლარი, ბალანსის შედგენის მომსახურეობა 4000ლარი, სანიტარული საგნების ჰიგიენის საშუალებების შეძენა 904 ლარი, ფონოგრამების ჩაწერა-300ლარი, ფარდა-310ლარი.

აფიშები






სენაკის აკაკი ხორავას
სახელობის პროფესიული სახელმწიფო
დრამატული თეატრი
05.05.2023 დასაწყისი 18.30 სთ